ამ რამდენიმე თვის წინათ დედა მარგოს დისწული იათამზე (თათული) ნაწილობრივ კვლავ ვინახული. კეკელიძის ქუჩაზე ცხოვრობს, მშრალ ხიდთან. ბრწყინვალე შეილება დაედა. წინასწარ ვაცნობე, რისთვისაც მივიღოდი. გახარებულმა ყველაფერი გამომიტანა – ფოტოები, წერილები, გაზეთების ამონაჭრები. დიდხანს ვილაპარაკეთ. გავიხსენეთ ის შედარებით ბედნიერი დრო, როცა ჩვენთვის ძვირფასი მრავალი ადამიანი ცოცხალი იყო და ამაყად კი მათზე მხოლოდ მოგონებები დავგრძეობ. ალბომის თვალთვალსა და ფოტოების ადრე ნანახი ფოტო მოვისაკლისე (ალბათ ვილაპარაკებ ხელს გააყოლო), მაგრამ რაც ვნახე, დიდად მეამა. ტრავიკულად დაღუპული ამილ მიურატის ლამაზი, გაყინული სახეს დავხედე. რაოდენ მართალია როლან ბარტი, როდესაც ფოტოზე აღბეჭდილ, ნამიერ, დატყვევებულ გამომეტყველებას სიკვდილს უკავშირებს. მაშინვე მოპასანის ცნობილი სურათი გამახსენდა – შუაზე გადაყოფილი ხშირი თმა და მსხვილი, მაღლა აწკიპული უღვაშები რომ უჩანს, ქალბატონმა თათულიმ ზეპირად იცის ამილ მიურატისა და სალომე დადიანის ცხოვრების ისტორია, მათი შვილებისა და შვილთაშვილების აბები. მითხრა, რომ მიურატები მუდამ განსაკუთრებულ სიბოძა და სიყვარული იჩენდნენ სამეგრელოსადმი, იქაური ნათესავებისადმი. ნაპოლეონი და ანტუანეტა, რომლებსაც გვანჯი ჩიქოვანი დიდი მადლიერებით იხსენებს (ნაპოლეონის შუამდგომლობით მიიღო მან იმპერატორისგან შეწყობის ქალაქი, ხოლო ანტუანეტა ვენახისა და მეურნეობის ევროპულად გაშენება-მონყობაში დაეხმარა), უშვილოდ გადარჩენილი, ზუგდიდელი მიურატები კი ამილ მიურატისა და პრინცესა სალომეს უფროსი ვაჟის ლუსიენის შთამომავლები არიან. ამაღლელებელი, დიდებული ფაქტია, რომ სწორედ მისი ნაშვილი, უკვე სამოც წელს მიტანებული ალენ მიურატი, სამეგრელოს მიურატთა მეოთხე თაობის ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი, უკანასკნელ ხანს, თავი-სი ოჯახით, ზუგდიდში დაეახლა.

მარტვილის რაიონის საფეხი დიდ ქყონში (ყინოთა) მცხოვრები დეგუბაძეები საკმაოდ მიღებული იყვნენ დადიანებისა და მიურატების კარზე. ზემოთ მოხსენიებული და-ძმის მშობელი მამა ნიკოლოზ დეგუბაძე, მეტად ცნობილი პიროვნება, ანტუანეტა მიურატის (შინაურობაში მას ბებეს ეძახდნენ) ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. ქალბატონმა თათულიმ მაჩვენა ხელმოწერილი და ნოტარიუსის მიერ დამოწმებული საბუთი (1916 წელი, 10 თებერვალი), რომლის თანახმადაც ანტუანეტა მიურატი სოფლისა და ზუგდიდის მარტვილის მთელ თავის უძრავ-მოდრავ ქონებას ნიკოლოზ დეგუბაძეს დატოვა. ის უნდა ყოფილიყო განმკარგვლებული. აქედან ნათელია, რომ ნიკოლოზ დეგუბაძის შთამომავლებს მამისაგან ძვირფასი ფოტომასალა, სხვა საბუთები და ნივთები უნდა დარჩენოდათ, რომელთაგანაც ბევრი რამ, ალბათ, შემონახული აღარაა.

თუ რამდენად საპატივცემულო ყოფილა ეს დარბაისელი პიროვნება თავის დროზე, ამის დასტურად ერთი შემთხვევაც იკმარებს. როდესაც სოფელ მალხინოში მიურატების ოჯახს გლეხები აუჯანყდნენ და მათ გასართობად სიმკაცრით განთქმულმა ალი-ხანოვმა დამსჯული რაზმი გამოგზავნა, ნიკოლოზ დეგუბაძის მათი უფროსისთვის უთქვამს, თუ ამას ვაკეთებთ, გათხოვთ პირველი როზგი მე დამკრათო. მას ასეთ რამეს ვერავინ აკადრებდა და ასე გადარჩენილა გლეხობა ცემასა და დამცირებას.

იმ საღამოს, სტუმრად მისულმა, ბევრი რამ ვნახე და მოვისმინე, რაზედაც უფრო ვრცელად სხვა დროს დავწერ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ერთმა რამემ მოახდინა – დიასახლისმა გამომიტანა სათუთად შენახული ძვირფასი ატლასის ულამაზესი, ოქროსფერად გაბრწყინებული ნაჭერი და მითხრა, ეს სალომე დადიანის პენუარის ნაწილი არისო. დიდხანს დავცქეროდი თითქოსდა მზის სხივებით დაგვირისებულ, კიდებმემორღვეულ ქსოვილს. ისეთი შეგრძნება დამეფლდა – ჩემს წინ ვეხე, ეგზოტიკური პეპლის ცალი, მოგლუჯილი ფრთა იყო დაფენილი.

ფიქრი ფიქრს აედევნა, აება. ჯერ პეტერბურგში, რუსთულმწიფის კარზე ოჯახითურთ ჩასული თერთმეტი წლის სალომე დადიანი წარმოვიდგინე, ჩასვლისთანავე,

1857 წელს, ფრეილინობა რომ უბოძეს. მერე – უკვე დაქალბუღი, დამშვენებული, ჭკუა-გონებით სავსე, თვრამეტი წლისა, თავისი ამბავი, ულამაზესი დედის, ეკატერინე ჭავჭავაძის გვერდით, იმპერატორ ნაპოლეონ მე-სამის მიერ მიწვეული და ტიუილის სასახლეში მყოფი. ამ დროს სალომეს ბედი უკვე გადაწყვეტილია, საქმეში თვით დედოფალი ეუენია ჩარეული. იგი ცოლად უნდა გაჰყვეს იმპერატორის მარშალის ნეაპოლის მეფის იოაჰიმ მიურატისა და ნაპოლეონ პირველის დის, კაროლინა ბონაპარტეს შვილიშვილს, უბრწყინვალეს ამილ მიურატს.

ავსტრიელი მწერალი ქალი ბერტა ფონ ზუტენერი, შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატი (იგი, თავის მხრივ, ეკატერინემ მიიპატიჟა და ცხრა წელიწადს ცხოვრობდა საქართველოში), თვალთ მხილველი და მონაწილეა 1868 წლის 13 მაისს გადახდილი დიდებული ქორწილისა. თავის მცირე მოკვლევაში ბერტა ზუტენერი აღტყვევებული იგონებს მაისის დაუწინაურ საღამოს პარიზში. ადვილი წარმოსადგენია, როგორი საზოგადოება მოიყრიდა თავს გაჩახჩახებულ დარბაზში გამართულ მეჯლისზე, რასილამაზე იქნებოდა ირგვლივ. მისი მენყვილ ბურბონის უფლისწული ყოფილა.

ამილ მიურატისა და სალომე დადიანის ქორწინებამ სათავე დაუდო კიდევ ერთი საქვეყნოდ ცნობილი არისტოკრატიული

ლი, მჭმუნვარება მშვენიერების გაქრობაზე, მის წარმავლობაზე. სილამაზის თვალის-მომჭრელი, „გვარად უცხო“ ყვავილი გამლას ძლივს ასწრებს, რომ მაშინვე ჭკნობას იწყებს და მის დაცვენის ფურცლებს შეუჩერებლად მიმქროლავი დროის უღმობელი ტალღები იტაცებენ.

ეს კია – უმძაფრესი სურნელება, გონების დამბინდავი ბანგი დიდხანს ტრიალებს ზაფხულის ჰაერში, გვარბუებს, მოსვენებას იგვიკარგავს და ისლა დავგრჩენია, „გადამქრალი ვარსკვლავის მშვენება“ სინანულით გავიხსენოთ, შორეულს შორიდანვე მივუაღეროთ, როგორმე მტვერისა და დავინყების კლანჭებს გამოვარიდოთ.

ესეც არის – შეუქროთმელი, გაყინული, უძრავი სილამაზე, სანთლის ყვავილის მსგავსად, მოგებურდება, გულს ვერ შესძრავს, ვერ შეატოკებს, სისხლსაც ვერ აგიქროლებს და ამის გამოა, ორცეცხლშუა მოქცეულებს, გაუნელებელი, უსამეგლო ტკივილი რომ გვხრავს.

ამ ტკივილს ვერც დიდი რუსთაველი გაექცა (ანკი რანაირად დაუსხლტებოდა) და ლმერთაცმა ერთადერთი შვება, ერთადერთი ნუგეში იოვრა: თუმცაღა შტოზე აკოკრებული უმშვენიერესი ვარდი უნდა დატყნეს, მაგრამ – „ერთი წავა და სხვა მოვა...“, თავად ნალკოტი, „ტურფა საბაღნარო“, ხელუხლებელი რჩება; ენით გამოუთქმელი სილამაზის „ზღვათა სამეფოში“ ედემის და-

ქართველი ისტორიკოსი შოთა მესხია (იხ. შოთა ბადრიძე, ჭყონდიდელი და ცოტნე, ზუგდიდი, 1995, გვ. 25).

ამგვარი ამორდიების გზა იმთავითვე კრახისთვის იყო განწირული. ნიშანდობლივია, ისაკი ფვანასა და მისწირ ტვირდაბნელებულთა ჯგუფს, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მედგრად შეებრძოლა კონსტანტინე გამსახურდია. ჩვენში დღესაც სიამაყით იგონებენ „მოვარის მოტაცების“ ავტორის იმჟამინდელ ნათქვამს – საქართველოსგან ერთი მუხაც რომ დარჩეს, ჩვენ ყველანი იმ მუხის გარშემო უნდა დავდგეთო.

ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს, სამეგრელო – ქრისტეს წელთაღრიცხვამდე იყო და კვლავაც დარჩება ქართული სახელმწიფოებრიობის ღერძად, ხერხემლად და მისი, ისევე როგორც აფხაზეთის, დედა საქართველოს სხეულიდან მოწყვეტა შეუძლებელია.

მეგრული ყოფისთვის დამახასიათებელი ზოგი რიტუალი, მაგალითად, „მოგებული შვილის“ ძალზე ამაღლელებელი და ღრმამინაარსიანი ცერემონია, რაც საკუთარ თავზე გამოუცდია გვანჯი ჩიქოვანს (მას ბოროზდინიც ასხენებს თავის წიგნში) და რაზედაც მოგვითხრობს, ამაყად მივიწყებულნი, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ, სსოვნაში მაინც შევიხსნათ ჩვენი წინაპრების წეს-ჩვეულებანი, ქართული ეთნოსის წიაღიდან მომდინარე უძველესი კულტურა.

გვანჯი ჩიქოვანს უზომოდ უყვარს თავისი მშობელი და აღმზრდელი კუთხე – სამეგრელო, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მის ცნობიერებაში ის უმთავრესი აზრია ფესვგადგმული, რომ ამ ქვეყნად ქართველად იშვა და თვითონ სადაც უნდა იმყოფებოდეს, საქართველოს განსახიერებს, თავისი ერთადერთი და საფიცარი სამშობლოს ღირსებას სიცოცხლის ფასად იცავს.

სიკეთის მთესველად იყო დაბადებული და სათავისოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. მეგობრებიც მასავით გამორჩეული ჰყავდა. თავად ყველაზე დიდი გულისტკივილით იგონებს მომიზნებელი თვალ-ტანადობის, უდახვეწილესი ზნეობის შეუდარებელ ვაჟკაცს, გრიშა ჯიქიას, სვანეთის მთებში ყაჩაღების ხელით მოკლულს (ჩრდილო კავკასიაში შექმნილი საქონელი მოჰყავდა თავისი რაიონისთვის). მეორე განუყრელ მეგობარს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად თავდადებულ მებრძოლს, კაკა ფვანას, გარემოებათა გამო, იგი თავის მოგონებებში არ ასხენებს. მის მიერ სხვებისთვის უანგაროდ განეულ დახმარებათა უბრალო აღწერაც კი გაჭირდებოდა. თვითონ ამ სამადლო საქმეთა უმცირეს ნაწილს აღნიშნავს, ისიც სხვათა შორის, არა თავის საქებად.

წინამდებარე მოგონებებში, სხვადასხვა ეპიზოდთა თხრობისას, გვანჯი ჩიქოვანი რამდენჯერმე ამბობს: „ფული კარგად მქონდა...“ ეს მისი ფრაზაა, მისეულ მეტყველებაში დამკვიდრებული. რა ფული უნდა ჰქონოდა მას? დროდადრო ნათესავ-მეგობრები აძლევენ. ზოგ შემთხვევაში, კეთილი ხალხის წყალობით, რაღაც სამსახურში იდგა და შედარებით რიგიანად უხდიდნენ. ხელმოკლე და გაჭირვებულ ადამიანს როცა ნახავდა, ვინც უნდა ყოფილიყო, თვითონაც უშურველად ჩუქნიდა ფულს, თუ, რა თქმა უნდა, „კარგად მქონდა“.

(ცოტა რამ მაინც უნდა ითქვას გვანჯი ჩიქოვანის ერთ უცნაურ თვისებაზე, რაღაცეწიანი გულთამხილაობაზე, სიზმრების თავისებურ ახსნაზე, რაც მოგონებებში იმთავითვე ხაზგასმულია. მოგონებების ქარგაში უთუოდ მნიშვნელოვანი და ბევრი მოვლენის წინასწარ მიმანიშნებელია სიზმრების ეს გონებამახვილური ახსნა. ხან გვანჯის ბიძა, გიდ ემხვარი, ხანაც თავად მოხრობელი ნახულობს სიზმარს და ადრე თუ გვიან ზმანება უთუოდ აცხადებდა. მაგალითად, რევოლუციის წინა წელს, რუმინეთის ფრონტზე მყოფ გვანჯი ჩიქოვანს სახედარზე უკუღმა შემჯდარი, ღაფში ამოსვრილი იმპერატორი და ასეთსავე საჩოთირო მდგომარეობაში ჩავარდნილი მისი ოჯახის წევრები ესიზმრება. ამ სიზმარს თანამებრძოლებს უყვება. მათ კარგად უხედავ, დაცდილი აქვთ გვანჯის მიერ ნახახი სიზმრების ძალა და მისევე დაასკვნან, რომ მეფის ტახტი მალე დაეცემა).

ემზარ კვიციანი
გარეგნულად გამგებ ნოემრში

ცხოვრება ბგანჯი ჩიქოვანისა

ოჯახის შექმნას ჩვენს სამშობლოში. ეს იყო დიდ ევროპულ კულტურასთან დასახლოვებლად გადადგმული საუცხოო ნაბიჯი. ამ ერთგვარად სიმბოლური ჯვრისწერის ათინათი სამუდამოდ დაადგა პატარა, უმშვენიერეს ქართულ ქალაქს, ზუგდიდს, რომელიც ბოლო წლების ბედუკუდმართობის გამო, დღესდღეობით, დარბეული, სახეშეცვლილი და თითქმის გაჩანაგებულია, სამურზაყანო-დან აყრილი, გასაცოდავებული ლტოლვილების მოთქმითა და ვაი-ვივით გულშენუხებულნი.

იმ საღამოს კი, სადარბაზოს კიბეებზე ჩამომავალს, ისევე ის მზისფერად თუ ფორთოხლისფერად მოელვარე ატლასის პატარა ნაჭერი მიტრიალებდა თვალწინ. ხომ შეიძლებოდა ესეც არ დარჩენილიყო, ესეც არ მენახა? და საერთოდაც, რა რჩება ადამიანისგან? ეჭვი მაქვს, ამდაგვარმა მტანჯველმა ფიქრმა დაანეინა ავაზაკად და მკვლელად შერაცხილ დაუდევარ, ჯანყიანი სულის ფრანსუა ვიონსს, გენიალურ სქოლარს, თავისი განთქმული „ბალადა გარდასული დროის ქალბატონზე“, თავიდან ბოლომდე მშფოთვარე, პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნებით რომ არის დაძინილი:

რომელ მხარეში შთანთქა წყვიადამა ფლორა, დიადი რომის მშვენება, ან თაისი და არქიპიადე სად გაიტაცეს დროის ცხენებმა...

დედოფალ ბლანშზე რას იტყვით ნეტავ, სადღა მის ხმა და მაისი. ან დიდფეხება სად არის ბერტა, ან არამბურჟის სახლი მაინზე;

ლორენის მკვიდრი სად არის ჟანა, რომ ავიზგიზდა მისი დიდების ცეცხლი რუაში. აღარსად ჩანან... სად არის თოვლი შარშანწინდელი?

ვერვინ ნაუვა, პრინცო, გარდუვალს, ქრება ციმციმიც მარგალიტების და ვიძირებთ სოფლის სამედურავს: სად არის თოვლი შარშანწინდელი?

ეს მარადიული ტკივილი ისევე ძველია, როგორც თავად ქვეყნიერება, მზისქვეშითი და მას არავფერი არ ენამლება, ჯერ არავის მიუგნია მაღამოსთვის, იგი რომ მოაშუშოს. ეს არის ადამიანის დაუსრულებელი ნუხი-

რად აბიბინებულ საოცრებას არაფერი აკლდება: „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად ფერები...“

სხვა გზა არ არის – უნდა ვინმე მონოტელისძველი, სამუნხარო სიბრძნე, რომ ერთ დრო არავის შერჩენია, ცაში შურდულივით მქროლავს ბედნიერების „ლურჯ ფრინველს“ სულიერთაგან ვერავინ მოიხელთებს და იმასაც უნდა შევუოიგდეთ, რომ მუცლით მობილებს, „აგორებულ ქვას“ შედარებული წუთისოფელი თავის ნებაზე დავაქანებს.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში აფხაზეთი ჯერ კიდევ სუფთა ქართული კუთხეა – შეურყენელი, ნაუბილნავი, საქართველოს განუყოფელი ნაწილი, როგორც ეთნოგრაფიულად, ასევე ისტორიულად (გავიხსენოთ, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე, ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის მამა, საქმეებს ქართულ ენაზე აწარმოებდა). იქაურ მკვიდრ ქართული მეგნება აქვთ, ზნე-ჩვეულებები და საქციელიც ქართულია. ისიც ცხადად ჩანს, სამეგრელოსა და აფხაზეთის მცხოვრებნი რა ახლობლურ, ნათესაურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, თუმცა რუსეთის თავისი გამოიშველი, დიდმპყრობე-ლური პოლიტიკა კარგა ხნის დანაწყებული აქვს და აფხაზეთისადმი – საქართველოს ამ უძველესი და ულამაზესი კუთხისადმი – არც მუსულმანური თურქეთი იყო გულხელდაკრეფილი, ისიც თავის მტაცებულ განზრახვას ახორციელებდა.

რუსეთი ასეთსავე ვერაგულ პოლიტიკას ადგა სამეგრელოსა და სვანეთის მიმართ, ყოველნაირად ცდილობდა ამ ძირძველ ქართულ კუთხეებში ქართული ანბანის გაუქმებას, რათა ქართულ ენაზე განათლებასა და ქართულ წიგნებს როგორმე გზა გადაკეტვოდა. რუსი მოხელეები მიზანდასახულად ახალისებდნენ, მუდამ ამკარად უჭერდნენ მხარს სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

ამ მხრივ გამოწვევის არც საბჭოთა ეპოქა ყოფილა. არც ისე შორეულ წარსულში, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, თავი წამოჰყო პარტიულმა ფუნქციონერმა, დემაგოგმა ისაკი ფვანამ, რომელიც შლვა დადიანს გმობდა, „მეგრელია და რომანებს კი ქართულად წერს“; მანვე შეადგინა „ნაციონალისტთა“ შავი სია და შიგ შეიტანა მამინ ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი

“ლეიტივიზაცია” – სოფლის ზეიმი

სოფელი ლეიტივიზაცია ჩხორიწყუს რაიონში, ერთ-ერთი უძველესი და მოსახლეობით დიდი სოფელია. ის ოდიშის დაბლობზე მდებარეობს, მდინარე ხობისწყლის მარცხენა მხარეს, ონხომურის, ხანას და ცივის ხანაპიროებს შორის. სოფელში შემავალი უბნებია: ონხომური, პირველი ლეიტივიზაცია, მეორე ლეიტივიზაცია და რუსთაველი. იგი ესაზღვრება ამავე რაიონის სოფელ ახუთს, სენაკის რაიონის სოფლებს ხანას, უშაფათს, ფოცხოს, ხობის რაიონის სოფელ ხიბულას. ლეიტივიზაცია ზღვის დონიდან 130 მეტრ სიმაღლეზეა, რაიონის ცენტრიდან 12 კილომეტრითაა დაშორებული, სენაკიდან – 32 კილომეტრით.

საქვეყნოდ აღიარებულია, რომ ჩვენმა წინაპრებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ანტიკურ სამყაროში. ისტორიული თვალსაზრისით ალბათ “ლეიტივიზაცია” აქედ დიდი წვლილი შეტანილი კოლხური ცივილიზაციაში. კოლხებმა ხომ უდიდესი ცივილიზაცია შექმნეს, რომელითაც ადრეთოვანებული იყო მთელი ანტიკური სამყარო.

როგორც ყველა კუთხეს, კუნძულს ჰყავს თავისი მემკვიდრე, ლეიტივიზაცია ჩვენი მეგრული გახლდათ ისტორიკოსი ბატონი ანზორ სიჭინავა. მან შესანიშნავად ჩამოაყალიბა თავისი სოფლის ჰუმანიტარი ისტორია და წარმოგვიდგინა სოფლის გამორჩენილი ადამიანები. ლეიტივიზაცია ვერისის სამეფოს, ხოლო შემდეგ ოდიშ-სადადიანოს შემადგენლობაში შედიოდა. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის დროს, ოდიშ-გელათში რვა მაზრად დაუყვიათ, ონხომური კუთვნილია ზუგდიდის მაზრას, ხოლო ლეიტივიზაცია – ზუგდიდის მაზრას.

დავით დადიანის დროს ოდიშში შემდეგი გზები იყო, შუა სამეგრელოს გზა ზუგდიდი-ჭაქვიანი-ლეიტივიზაცია-ნოჯიხევი-ხონი. ამ გზით წავიდა ზუგდიდიდან ქუთაისს ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე 1837 წელს. და ამის გამო ეს გზა ძლიერ კარგად იყო შეკეთებული. რაც შეეხება ეტიმონოლოგია ლეიტივიზაცია, სოფელს სიჭინავას გვარის სიმრავლის გამო დაერქვა. თუმცა სოფელში არც ხორავების გვარის ნაკლებობა იგრძნობა. სიჭინავას გვარს წინ მეგრული წინასართი ლეიტივიზაცია წამდებარებული და მივიდეთ სოფლის სახელი – ლეიტივიზაცია. ისევე როგორც, მაგალითად, ლევიკოვი, ლევიკოვი, ლევიკოვი, ლევიკოვი, ლევიკოვი, ლევიკოვი, ლევიკოვი...

მაშე და სხვა, რაც მეგრულში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ლეიტივიზაცია მოსახლეობა თავიდან განლაგებული ყოფილა მდინარეების ხანასა და ცივის შორის, იმ დროს ეს ორი მდინარე უდრანი ტყის მასივების პირას გადიოდა. სოფლის ცენტრი, რომელსაც დღეს პირველი ლეიტივიზაცია და სენაკი-ჩხორიწყუს რესპუბლიკური ავტონომიური ტრალის ორივე მხარეს მდებარეობს, დასახლებულია გვიან კაპიტალიზმის დროს, რაზედაც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს გზა წინათ აქედან 1-1,5 კილომეტრის მოშორებით, მეორე ლეიტივიზაციათან ახლოს გადიოდა.

სიჭინავების გვარის წარმომავლობაზე ზუსტი ცნობები ნაკლებად არის შემორჩენილი. ლეიტივიზაცია სრულიად დაფარული ყოფილა იელის ტყით. ვინაიდან იქ ნიადაგი წითელმიწიანია, იელისთვის განსაკუთრებული ადგილია. ამ ადგილას ახლო-მახლო დასახლებებიდან მოდიოდა ხალხი “იელიში-ჭინავაში” (იელის წინაღობის დასამზადებლად), რომლითაც წინადაცნა ფაცხას, ღობეს და სხვა. ეს ტერიტორია რომ განთავსდებოდა “იელიში-ჭინავაში”, გამოჩნდა თავალწარმტაცი მიდამო, სადაც ერთი კაცი დასახლებულია. საიდან ხარო, რომ შეეკითხებოდნენ ამ კაცს, “იელიში-ჭინავაში”, პასუხობდა. სიტყვამ თანდათან ცვლილება განიცადა (იელიში-ჭინავა, ოლეიტივიზაცია, ლეიტივიზაცია, სიჭინავა). გადმოცემა ეკუთვნის მღვდელ ჭიჭინაძეს.

აქ ერთ საინტერესო დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება – ტერმინ “ლეიტივიზაცია”. მეგრულში არის ასეთი გამოთქმა “ლეიტივიზაცია”, რაც ნიშნავს რაღაცნაირ სვლას. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რისი სვლაა.

კოლხური (მეგრული) მეტყველება, ხელის მცნების გამომსახველ ფორმებს ჭარბად იყენებს. კოლხური (მეგრული) მეტყველების ცოდნის გარეშე შეუძლებელია სიტყვათა აზრის გაგება. მაშასადამე “ლეიტივიზაცია” კოლხური ბუნების სიტყვაა. მაგალითად “ლეიტივიზაცია” მიწიერი (სითხის) სვლა, “ლეიტივიზაცია” – (ხე), გინა მოგრძო ტყე ველთაშუა. “ლეიტივიზაცია” იგივეა რაც ილეიტივიზაცია – შლამიანი ადგილი “ლეიტივიზაცია”, ლეიტივიზაცია ამოქონდათ და ლეიტივიზაცია ქსოვილს მოწითალო ფერის მიწით.

ძველი მეგრელები ლეიტივიზაციას

“ლეიტივიზაცია” ეძახიან. ვფიქრობ, “ლეიტივიზაცია” უფრო ქართიზირებული ფორმაა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ სხვა მოსაზრებაც შეიძლება დაიბადოს (ბ. თუნთია). “ლეიტივიზაცია” (“Лес”) – რუსულად დიდ ტყეს ნიშნავს. არ მინდა ზედაპირული განმარტება გამოვიდეს, ან ლაფსუსად ჩამეთვალოს, მაგრამ მსგავსი მაგალითები მრავალადა გვაქვს სამეგრელოში. მაგალითად, სენაკში, მეგრულში არის უბანი ბათარია. ძველად იქ რუსის “ბატარია” მდებარეობდა, კიდევ, მას იქით არის ადგილი, რომელსაც “რეკა” ჰქვია. შეიძლება ლეიტივიზაციას შემთხვევაშიც ასე მომხდარიყო...

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ “ლეიტივიზაცია” ნიშნავს წინაღობის მოსაპოვებელ ადგილს. მეორე გადმოცემის თანახმად, სიჭინავები წარმოშობით ყოფილან სოფელ ფოცხოდან. იქ ყოფილა მათი “ჯინჯინავა” (ძირის ხატი).

აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტის ირმა სიჭინავას განმარტებით ბუბია მისდევდა შეილისშვილს წინაღობით საცემად და აქედან წარმოიშვა გვარი სიჭინავა (ა. სი, ჭინავა – აი, შენ, წინაღობა).

ლეიტივიზაციაში, როგორც ამ წერილის შესავალში ვახსენეთ, სორავების გვარი სჭარბობს სიჭინავების გვარს. ხორავებს “ხვამა” (ლოცვა) აღდგომის ორშაბათს დღეს ჰქონიათ, ხოლო სიჭინავებს – აღდგომის სამშაბათს. სოფელი არც სწავლულების ნაკლებობას უჩივის. აქ დაიბადნენ მედიცინის დოქტორები გრიგოლ სიჭინავა, ანტონ სიჭინავა, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი შოთა სიჭინავა, ეკონომიკის დოქტორები ძმები მელორ, ალექსანდრე და დემურ სიჭინავები.

სოფელი საბჭოურ ეპოქაში ეკონომიკურად ძალიან განვითარებული და ძლიერი იყო. დღეს ძალიან უჭირს სოფელს. იქაურებს რომ ჰქონხათ: რით ირჩენენ თავს, დიმილ-ნარევი ხუმრობით გიპასუხებენ: თხილით და თურქეთით.

სამწუხაროდ, თხილის პლანტაცია ქველას ხომ არა აქვს?

სოფელში დიდი ხანია ტრადიციად არის ქცეული სოფლის ზეიმი “ლეიტივიზაცია”. მიუხედავად სოფლის გაუსაძლისი ყოფისა, მოსახლეობა ზეიმისათვის საგულდაგულოდ ემზადება ყოველ მარამობას.

წლეულს, მარამობას, სოფელში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო დაგვიკმლია დონისძება 25 ნოემბრისათვის იქნა გადატანილი.

ზეიმში მონაწილეობას ძირითადად იღებდნენ ადგილობრივი თვითმემოქმედებითი ძალები. ლეიტივიზაციის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია “ოქროს საწმისი”, რომლის უცვლელი ხელმძღვანელია გამოცდილი ქორეოგრაფი და თავის დროზე “ცეკვის ჯადოქრად” აღიარებული ჯემალ ჟვანია. სახელგანთქმული ქორეოგრაფი და ანსამბლი “ოქროს საწმისი” სათანადოდ დააჯილდოვა საქართველოს ქორეოგრაფიის მიღწევათა შემოქმედებითმა კავშირმა.

ბავშვთა ანსამბლის წევრები დახვეწილი მანერებით ასრულებენ ურთულეს ილიტებს. შესრულებული იქნა ცეკვები “კავკასიური”, “მთიულური” და “აჭარული”. აღსანიშნავია სტუდიის ყველაზე პატარა მონაწილეები ანი ხორავა, ნინო თოლორაია და ანა სიჭინავა. სტუდიას ჰყავს თავისი აკომპანიორები, თუნდაც დოლზე დაკრის დიდოსტატი, პროფესიონალი და რაინდი პიროვნება ჯემალ მეშველიანი. განსაკუთრებული ნატიფი ხელოვნებით გამოირჩევიან კარლო ჯაიანი, გოგიტა ახალაია, დათო სიჭინავა.

სახალხო ზეიმში ასევე მონაწილეობა მიიღეს ლეიტივიზაციის კულტურის სახლთან არსებულმა ტრიო “აისმა”, რომლის წევრები არიან გიორგი საჯავაძე, ბაკურ ჯიქია და რევაზ ცერცვაძე. ტრიო მუშავებს ხორავის საჯავაძის ავტორებით შექმნილი სიმღერა “თეთრი თლია”. შთამბეჭდავი იყო ბაჩუკი სიჭინავას რეპერტუარი, რომელმაც ფანდურის თანხლებით შეასრულა სატრფიალო სიმღერები.

კონცერტის დასასრულს გაიმართა გაზეთ “ლეიტივიზაციაში” სპრეზენტაცია, სადაც წარმოადგინეს გაზეთის პირველი ნომერი. მისასალმებელია, რომ სოფელს დღეს საკუთარი გაზეთი გააჩნია, რომლის დამფუძნებელი გახლავთ გამორჩეული პარტიოტი ზაალ სიჭინავა.

პრეზენტაციაზე მოსალოცი სიტყვებით გამოვიდნენ გაზეთ “ჩხორიწყუს” მთავარი რედაქტორი მერაბ პერტაია, ჩხორიწყუს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები გონა ჩოქოვანი, ბესიკ ახალაია, კობა ფარცვალია, დათა ჭოთავა და სხვები.

უფალი გვარავლები ლეიტივიზაციაში. იცოცხლეთ და იხარეთ მრავალკუთხედი!

ამსიკ თუნთია, ქ. სენაკი

ის მარ მინც მინამ!

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

აი, რას ვწერ მეგრული ენის შესახებ: “დღეს არავინ კამათობს იმის შესახებ, რომ ქართველური ენების ფუძემდებელია ლაზური-მეგრულია. ევკთხები მათ, ვინც მეგრულ ენას ქართული ენის დიალექტად მიიჩნევს: როგორ შეიძლება ფუძე ენა დიალექტი იყოს?”

“მეგრული, სვანური, ქართული პრეისტორიული ჰყონის ფესვიდან ამოზრდილი სამი ტოტია, რომელთაგან ერთ-ერთს ბედისწერამ და ისტორიის ქარტახილებმა ქართული ენა დაარქვა, სახელმწიფო ენის შესრულება დააგადა.”

“...კატეგორიულად მოვითხოვთ სკოლებში მეგრული და სვანური ენების სწავლა იმგვარი პროგრამით, რათა ნებისმიერი კუთხის ქართველმა იცოდეს: ლინსიტივაც ქართველები ცხოვრობენ, რომ მეგრული და სვანური ენების არსებობა არ ნიშნავს მათ არაქართველობას” (“ილორი”, №104 (165) 25 იანვარი-1 თებერვალი 2011 წ.).

ბატონო ედემ! მათემატიკოსმა გია კვაშილაძემ “ფესტოსის დისკო” კოლხური ენის გამოყენებით გაშიფრა. სამწუხაროდ და საუბედროდ ჩვენი მეცნიერება დუმს. ვინმე გოგიაშიელმა გურამმა ეს დიდი მეცნიერული აღმოჩენა დაცინვისა და ქილიკის საგნად აქცია. მე საკადრისი პასუხი გავეცე (“ილორი” №237 (296) 14-21 სექტემბერი 2013 წ.). რატომღაც არ მაგონდება “დემოკრატიული ჩართულობის ცენტრს” რაიმე რეაგირება მოეხდინოს გოგიაშიელის პასქვილისათვის.

მე ძალიან კარგად ვიცი თუ რაოდენ დიდ ეროვნულ მუხტს ატარებს სამეგრელო. ამიტომაც ვწერ: “ვინ იქნება ერის გადარჩენისათვის ბრძოლის მედროშე? ვინ შესძლებს ალაგმოს ქართულ ცნობიერებასთან, ქართულ კულტურასთან, ცხოვრების წესთან და ტრადიციებთან მებრძოლი ლეგიონი?”

ვფიქრობ, ამ საღმრთო საქმის გაკეთება ხელაწიფება სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს”...

იგი უნდა გადაიქცეს ზოგადქართულ პოლიტიკურ მოძრაობად (დავარქვათ მას თუნდაც “ოქროს საწმისი”, “იბერია”, “ივერია”), რომელიც დიდი ჰყონის ფესვიდან შეიწოვს გაფილტრულ ქართულ გენებს და შესძლებს უცხოელების მიერ კოლხეთიდან გატაცებული სიბრძნის, ანუ ოქროს საწმისის დაბრუნებას, ქართული მოდერნიზაციის მეთოდს მოსვლამდე გადაარჩენას (“ილორი”, №205 (269), 29 იანვარი-5 თებერვალი 2013 წელი).

ბატონო ედემ! ვფიქრობ მაგალითების მოყვანა საკმარისია. იმედი მაქვს, მეორედ არ იკითხავთ, თუ ვინ ყოფილა თენგიზ კუბლაშვილი. “გული რომ არ დაგწყდეთ”, მეც შეძლებისდაგვარად წარმოვიდგინეთ ჩემი თავი, რომელსაც ენათმეცნიერებაში ბევრი არაფერი ვაგეგვია, მაგრამ 90-იან წლებში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ერთგულად მხარში ედგა და ერთი პატარა ავური მასაც აქვს დადებული დამოუკიდებელი საქართველოს ასაშენებლად.

“დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში” მეგრული ენის გადარჩენას აპირებენ კულტურული და პოლიტიკური ავტონომიების მოპოვებით, რომელიც ენის გადარჩენის პანაცეა სრულად არ არის.

ბატონებო! გვეკითხებით, რამდენი ათასი მეგრულია გადახვეწილი რუსეთში, თურქეთში, ევროპის ქვეყნებში? რამდენი ათასი უმუშევარი მეგრული გადახვეწილია უცხოეთში უახლოეს წლებში? რატომ შემცირდა შობადობა? მითხარით, სამეგრელოში (თუნდაც კულტურულ ავტონომიაში) მეგრული თუ აღარ იქნება, ვინდა იმეცნიელებს მეგრულად?

მეგობრებო, მთავარია ვიბრძოლოთ არა ავტონომიებისათვის, არამედ იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები, დასაქმებული იყოს ყველა შრომისუნარიანი, ვიბრძოლოთ იმისათვის რათა არ მოიშალოს ქართული სოფელი, ჩვენი იდაბადე, ჩვენი კულტურის,

ტრადიციების, ცხოვრების წესის, ჩვენი ენის, გენოფონდის მფარველი დგოვება!

მაშინ გადარჩება მეგრული, სვანური, ლაზური და თვით ქართული, სახელმწიფო სამწერლობო ენა, რომელსაც არანაკლები საშიშროება ემუქრება!

ჩვენი პოლიტიკური მიზანი უნდა იყოს არა საქართველოს ავტონომიებად, რეგიონებად დაშლა-დანაწილება, არამედ ისეთი ხელისუფლების არჩევა, რომელიც შესძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მიწების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას, მცოცავი ანექსიის შეჩერებას, ზნეობის ეროვნული კულტურის, მათ შორის მეგრული და სვანური ენების მფარველობას და განვითარებას... ისეთი ხელისუფლების არჩევა, რომელიც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით შესძლებს ქართველთა უცხოეთში მასობრივი მიგრაციის შეჩერებას...

კიდევ ერთი შენიშვნა.

ბატონო ედემ! თქვენ მე ირონიით უმადლესი საბჭოს “დემოკრატ” დეპუტატს მიწოდებთ. ძალიან მიკვირს. “მთავარულმა ეტიმოლოგისტმა”, როგორც თქვენ თავს უწოდებთ, ჩემი შორეული წინაპრის საცხოვრისი დაადგინეთ და უმადლეს საბჭოსა და ზუზუნავს საბჭოს შორის განსხვავებას ნუთუ ვერ ხედავთ?

ამ წერილს ვამთავრებ იმ სიტყვებით, რითაც დავამთავრე თქვენს მიერ შერისხული და დაწუნებული წერილი “მე ჰყოლავ რე, თქვანი დუგუ ზუგდიდელებო?”

დაე, მარად გახსოვდეთ და აღგაფრთოვანებდეთ ქართველი ერის საყვარელი შეილებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უკვდავი მოწოდება:

საქართველო უპირველეს ყოვლისა! თენგიზ კუბლაშვილი, ზუზუნავის საბჭოს დეპუტატი

ცოტა რამ კოლხებსა და კოლხურ დამწერლობაზე

ბატონი გურამ კორკელაის წინამდებარე წერილი წმინდა მეცნიერული სახისაა, რომელშიც იგი გარკვეულ ასპექტებში არ ეთანხმება ცნობილი ქართველი მეცნიერების თვალსაზრისს. ვფიქრობ, რომ აღნიშნული მეცნიერები კვლავაც დაიცავენ სავითარ პოზიციას და მათი კორექტივებისა და პასუხის გაცემა ის ჯანსაღი პოლიემია, რაც დიდად დაინტერესებს გაზეთ "ილორის" მკითხველებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე არ არის გარკვეული საკითხი კოლხებისა და მეგრელების ერთობის შესახებ.

სერგი მაკალიათის წიგნში "სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია" (გვ. 6) ვკითხულობთ: "მართალია თანამედროვე მეგრელებისა და მედიელ კოლხების ერთობის საკითხი ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს".

"ხალხის წარმოშობა რომელიმე რასისაგან მისი ნათესაობა სხვა ხალხებთან ერთი რამით შეიძლება იყოს გამორკვეული, - ენის ნათესაობით და ანთროპოლოგიური ნიშნებით. ხშირად ენის ნათესაობა არაფერს არ ამტკიცებს, რადგანაც შეიძლება აქ წამბაძველობის კანონის ძალით ერთმა ეთნიკურმა ჯგუფმა მეორეს გადასცეს, სრულად სხვა ანთროპოლოგიურ ტიპს, - აგრეთვე შეიძლება ერთსა და იგივე ანთროპოლოგიური ტიპის ხალხი სხვა და სხვა ენაზედ ლაპარაკობდეს, - იგივე წამბაძველობის კანონის ძალით: შეიძლება შემოსევა მომხდარი იყოს რომელიმე ქვეყნის ნაწილებში და მოსულ ტიპს თავისი ანთროპოლოგიური ნიშნები შედარებით წმინდად დაცვათ. ან შეიძლება აღრევა მომხდარი იყოს ენისა და ტიპისაც. - ბევრი ამგვარი შემთხვევა შესაძლებელია წმინდად დარჩენილ ტიპთა და ენათა შემწეობით კი შესაძლებელია გარკვევა ნარევი ენისა და ტიპისა. - აგრეთვე შესაძლებელია სხვა და სხვა საბუთებით იმის გამორკვევა, თუ სად უცხოურიათ ამა თუ იმ ხალხებს უძველეს დროთა". (მიხაკო წერეთელი "ერი და კაცობრიობა" გვ. 227).

მართალია ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს მეგლეკარმა, რათა შეცდომა არ დაუშვას, მაგრამ ჩემი აზრით, არსებობს ერთი უტყუარი ხერხი, რითაც შეიძლება დავასაბუთოთ ამა თუ იმ ხალხთა საერთო წარმოშობა, კერძოდ, გვარ-სახელების წარმოშობით, რა თქმა უნდა აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უნდა, საერთო ენის დადგენა კი შეუძლებელია საერთო დამწერლობის გარეშე.

ჰქონდა თუ არა საერთო დამწერლობა, საერთო ენით - მეგრელებს, კოლხებს, მესხებს ანუ მოსხებს, ლახებს, ჭანებს და ა.შ. კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს? ხოლო თუ თუკი გამოვვივოდა და დავუმატებო მეცნიერთა მიერ მოპოვებულ სხვა დამამტკიცებელ ფაქტებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიზანს მივადგინეთ. ბატონ ბიძინა ჭყონიას სტატია "მაინც საიდან მიდის სახელწოდება აბხაზებმა?", გაზეთი "საქართველო" 27 ივლისი-3 აგვისტო. 1998 წ.) აღნიშნავს, რომ "აბხაზების წინაპართა ერთი მნიშვნელოვანი ნაკადია ჯიქიები, რომლებიც საქართველოს დაუმეზობლდნენ მე-5 საუკუნეში და შემდგომში თამარის დროს ქვეშ იბრძოდნენ...". აგრეთვე ბატონი ჭყონია აქვე აღნიშნავს, რომ მესხები, ბახები ქართლის ტომს მიეკუთვნებოდნენ და არა მეგრელებისას. იგი იმორწმუნებს პავლე ინგოროვას, რაც ჩემი აზრით არასწორია. მესხები, ბახები, ქართლის ტომს კი არ მიეკუთვნებიან, არამედ მეგრელებისას.

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის "რჩეულ ნაწილებში", (ტომი II გვ. 291) ვკითხულობთ: "ამ თავდაპირველი გვარის კლასიკურ ფორმად მორგანი იღებს ინოკენტის გვარს. განსაკუთრებით სწავას ტომის გვარს. ამ ტომში არსებობს რვა გვარი, რომლებიც ცხოველების ან ფრინველების სახელებს ატარებენ: 1. მგელი, 2. დათვი, 3. კუ, 4. წაი, 5. ირემი, 6. ღაღი, 7. ყანა, 8. შვევარდენი".

აგრეთვე ცნობილია, რომ გვარები და ტომები არა მხოლოდ ცხოველების და ფრინველების, მცენარეების და ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სახელებსაც ატარებდნენ.

დღეისათვის გვარად არის ტურავა. თავდაპირველი გვარი იქნებოდა ტურა, რასაც ამჟამადც ხმარობენ, იტყვიან კიდევ. დაბოლოება "ვა" შემდეგი დამატებაა.

თავდაპირველად ტურა, შემდეგ ტურაა და ბოლოს და ბოლოებში ორი ა-ს შუა ნაქმობა მ.

დღეისათვის რომ გვარად არის ტურა, არსწორია. უფრო გამართლებულია რომ ვთქვათ ტურახე. მეგრელებში დედისეულ და მამისეულ გვარს შორის განსხვავებას "ხმ" წარმოადგენს. ხოლო რატომ არის ეს ასე, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

ახლა ავიღოთ ტომები: მოსხები ან მესხები, კოლხები ანუ კულხები, ჯიქიები, აბასხები, აბსუები და ა.შ. მოსხები, ეს მრავლობითშია. მხოლოდითში იქნება მოსხე. იგივე მამრობითში - მოსია. კოლხები - იგივე კულხები მხოლოდითში კულხე - მდედრობითში. მამრობითი გვარი კულა, იგივე კულავა. თავდაპირველად კულა, შემდეგ კულაა და ბოლოს კულავა. ჯიქიები, სიტყვა ჯიქიდან არის ნაწარმოები. მხოლოდითში ჯიქია. დედისეული - ჯიქხე. კულავა კულადან (სახსისია) არის ნაწარმოები. ე.ი. მოსია, მოსხე - მეგრულად "მოსია" ბადეს ნიშნავს. ბადის ანუ მოსას ქსოვა იყო ამ ხალხის ხელობა და გვარის სახელწოდებაც აქედან მიიღეს. ე.ი. გამოდის, რომ კოლხები და მეგრელების გვარტომობის სახელწოდებები მეგრული სიტყვიდან, ენიდან არის ნაწარმოები და არა რომელიმე სხვა ენიდან. მართალია, მეგრული, მარგალი გვარს არ ნიშნავს, ეს საერთო სახელწოდება ტომის ან ტომთა გავრთიანების. ხოლო ჯიქია, ჯიქხე, მესხია, მესხე, კულა, კულხე და ა.შ. რომ მეგრული გვარი ამახს დაიტკიცება არ სჭირდება. საქმე ისაა, რომ კოლხებს, ანუ კულხებს, მოსხებს მატრიარქალური გვარი შემორჩათ. ანუ თუ ადრე, შერეული ქორწინების დროს (ჯგუფობრივი ცოლ-ქმრობის), არაფერ იცის ვინაა ბავშვის მამა, მაგრამ იციან ვინაა მისი დედა. ე.ი. წარმოშობის დადგენა შეიძლება მხოლოდ დედის მხრიდან და გამომდინარე აქედან პირველყოფილი გვარი დედისეული უნდა ყოფილიყო. შემდგომ პერიოდში, როცა მამაკაცები გაბატონდნენ დედაკაცებზე, წარმოშობის დადგენა ხდებოდა მამის მხრიდან.

ბატონი ჭყონია იმასაც გვეუბნება ამავე გაზეთში, რომ პავლე ინგოროვას მტკიცებით მესხები, აბასხები, ერთი და იგივეა. ჩემის აზრით, საუკეთესო ამაში არაფერია, მესხები აბასხები იგივე მეგრელები არიან. ბ მეგრულად მხეს ნიშნავს. ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი. სკი კი მეგრულად შვილს ნიშნავს. ე.ი. მისი შვილები. თვითონ ბატონი ჭყონია ამბობს, რომ აბსუები ჯიქიების შთამომავალი არიან. ე.ი. მეგრელები ყოფილან. მეგრულში სკი, სქი, შვილს ნიშნავს. აბსუა, იგივე აბსქვა ჭანია, ჭანხე, ჭანეთი - საჭანო, ლახი-ლახარია-ლახარეთი. სანიკი შეიძლება დამახინჯებული ფორმა იყოს. უფრო სწორია სანახი, სანაია. აბშილა, აბშილახე, აბშილეტი და ა.შ.

ახლა მინდა, ჩემი მოსაზრება გამოვთქვა იმაზე, თუ რატომ განსხვავდება მეგრულში მამისეული გვარისაგან დედისეული გვარი "ხე" დაბოლოებით. უფროსად "აიაში" 1997წ. №2, გამოქვეყნებულ ბატონი მამანტი ძაძაძის სტატიაში "ეკლავ კოლხურ დამწერლობაზე" ვკითხულობთ: "საყურადღებოა, რომ პიქტოგრაფიული დამწერლობა, ხანისათვის იკონურობით, ანუ მსგავსებით, აღსანიშნავიან-საგანთან და შემდეგ ანდლიზი გვიჩვენებს, რომ ქართველური ენიდან მეგრულ ენაში გვაქვს ცალკეული სიტყვები, რომლებიც ერთეული თანხმოვანი ბგერებით არიან წარმოდგენილი, ოღონდ იმ პირობით, რომ ამავე ბგერებთან, როგორც წესი, გაისმის (ვლინდება) ემფატიკური ნახევაზხოვანი ბგერა. ასეთი მეგრული სიტყვები: "გ-გარეული ქათამი", "გ-გავს, მსგავსია", "კ-რკო", "ლ-ვარდება", "წ-ჩეღა, ჩეჯა, თეთრი ხე", "ტ-ცური, (ჯიქანი), "შ-სეგელი", "წ-აჭამა", "შ-ძეგს", "ჭ-წელს", "ჭ-ნაწლავი".

ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით იკონურობის ნიშნები, სწორედაც იდებამტარებელი (ამასთანავე) მნიშვნელობა განსხვავებული თანხმოვანი ბგერაში უფრო ზუსტად, მათი გამოხატულებით ასონიშნებით მოყვანილობა-მოსახულობაში უნდა ვეძებოთ. ამავე ბგერებით წარმოთქმული სიტყვებით გამოხატულ საგნებთან მათი მსგავსების გათვალისწინებით.

დავაკვირდეთ: განა გარეული ქათამს, ანუ გუგულის, საერთოდ ფრინველის გამოსახულებლად არ წარმოსდგება ასონიშანი "გ", განსაკუთრებით, თუ მას პორი-

ზონტალურ მდგომარეობაში შევხვდებით... და ა.შ.

სანამ ხალხები სამეცნიეროდ დღეს არსებულ ბგერათა რაოდენობას შექმნიდნენ, საკმაოდ დიდ დროს უნდა გაეკლო.

აღამიანი (ამჟამად კოლხი, მეგრული), ხე რომ აიხვედნა რომ შენიშნავდა მხეს და მოვარეს. ისინი ორივე მრგვალია და მიწაზე მინც, თუ სხვა მასალა არ გაჩნდა, წრეს-აზებს დახაზავდა: აი, ასე: 1. - 0. 2. - 0. პირველი არის მზე. მეორე არის მოვარე. გამომდინარე აქედან, სადაც აღამიანი ცხორებდა, ე.ი. მიწაზე მრგვალია და ამასაც და ამასაც წრესაზებით აღნიშნავდა - 0. ახლა ჩვენ გვაქვს სამი მრგვალი საგანი-მზე, მოვარე, დედამიწა. რით უნდა განასხვავოს ისინი ერთმანეთისგან? აი რით: 1. - 0 (მზე) მრგვალ საგანს დაუმატა კაუჭი. მივიღეთ ასონიშანი, ბ ამავე დროს სიტყვაც არის, რომელიც ერთი ბგერით ბ-თი გამოითქმის. მეგრულად ბ ნიშნავს მიკობუ (ქართულად კილია) ამჟამად ბ-ს თითქმის დაკარგული აქვს თავდაპირველი მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბ თავდაპირველად სიტყვა არ იყო. მაგალითად: მეგრულად ვიტყვით, "წხოვს თოკი გიობუ-უ, კიდალას სურათი მიკობუ-უ" და ა.შ.

2. თუთა (მთვარე) ხომ ორია - სავსე მთვარე და ნახევარმთვარე (ახალი მთვარე) რკალის მსგავსი. ორივეს შეერთებით მივიღეთ ასონიშნი თ. იგივე თუთა ე.ი. თავდაპირველად თუთა (მთვარე) გამოითქმებოდა ერთი ბგერით - თ. შემდეგ როცა მეტყველება განვითარდა, ერთი ბგერით გამოხატული სიტყვიდან მივიღეთ მრავალი სიტყვები, თ გამოითქმებოდა და ახლაც გამოითქმება როგორც თუთა.

3. 0-დედამიწა (უფრო სწორად თავდაპირველად იქნებოდა მიწა, დიხა) ერთი ასონიშნით დ-თი გამოხატული. დაემატა ქვემოთ მინიშნებული და მივიღეთ - დ.

ბ, თ, დ, ესენი თავდაპირველი სახელწოდებებია, სიტყვებია. მაგრამ ეს სამი საგანი სივრცეში განლაგებული. სამივეზე შეგვიძლია ვთქვათ - მიკობუ, მაგრამ მიწისა და მოვარისაგან განსხვავებით ბ (მზე) მართლაც კილია. ბ-ს, მიკობუს დაემატა ასონიშანი ანუ ბგერა-სიტყვა ჟ და მივიღეთ ბუ. შემდეგში დაემატა ასო ა და მივიღეთ ბუა.

აქედან ვასკენით, რომ დამწერლობა მეგრულია და არა რუსული ან სხვა რომელიმე. ახლა დავაკვირდეთ ბ-ს და ჟ-ს, განა ორივეს იკონურობა არ ახასიათებს? ახლა იმის შესახებ თუ საიდან მიიღო მეგრულმა გვარმა "ხე" დაბოლოება: ხელავს რა ადამიანი (თესლიდან) მიწიდან აღმოცენდებიან მცენარეული ე.ი. მიწა (დ) შობს მცენარეებს, ქალს, მშობლავსაც უწოდებ და (შემდეგში დია, დია ჩქიმბი), მაგრამ აქ ორი დ გვაქვს - მიწა და დედა. ერთი დ დედამიწას ნიშნავს, ორი დ დედა. ხე, ხუ, ხი, მეგრულად ნიშნავს შობას, მრგვალ საგანს 0 მიწას დაუმატა ზედამართული ხაზის მივიღეთ - ხ, რაც მიანიშნებს იმაზე რომ მიწისაგან არის ხელი, შობილი. ხ-საც, ვფიქრობ, რომ იკონურობა არ აკლია.

ასევე აღამიანი იცის, რომ თუ ბუა (მზე) არ იქნება, არც დიხა (მიწა) შობს რამეს. ე.ი. ბ (მზე) განაჩყოფიერებელია, იგივე მამაკაცია. გამომდინარე აქედან მამაკაცს, მამას უწოდა ბუ, შემდგომში ბაბა. ბუა უბრძოდ განაყოფიერებული კი არ არის, არამედ დეთაბაა, მამალეთება, დედამიწა კი დედადეთებაა, რომ ამ ორი დეთაბისგან არის წარმოშობილი ყოველი არსება, რა თქმა უნდა აღამიანიც. ჩვენ ხომ ვიცით, რომ წარმართებმა ბუნება გააღმერთეს.

რა თქმა უნდა, დედა მშობელია და შობს ორივე სქესის წარმომადგენელს - ქალსაც და ვაჟსაც. წერით ერთმანეთისგან რომ განსხვავებინა (და არა მხოლოდ წერით), ქალიშვილი იწოდებოდა დიხე. თავდაპირველად იქნებოდა დხ (დედის მსგავსი). მივიღეთ დედისეული გვარი მოს-ხე. აბშილა-ხე და ა.შ. ვაჟიშვილი კი იწოდებოდა ბუ. შემდგომში ბოში. შ დაბოლოება მივითხებთ მიში? ბში, მოსიაში, აბშილაში და ა.შ. ე.ი. გვაქვს ქალიშვილის აღმნიშვნელი სახელიც და ვაჟიშვილისაც. მაგრამ არ გვაქვს ქალის და ბიჭის აღმნიშვნელი სახელები. როგორ მივიღეთ ისინი? აი, ასე: ხ (ქალიშვილი) შევბრუნოთ (ე.ი. ქალიშვილი და ვაჟიშვილი საპირისპირო სქესისანი არიან). მივიღებთ ხ-ს (ხმ) ძა, ძაბი, მურემა? მეორე: შევბრუნოთ ასონიშანი შ, მივიღებთ -წ-ს (წწ) წ, წ, მეგრუ-

ლად. ასევე წომ. როგორც ვხედავთ, მეგრული დედისეული გვარები მოვარდება "ხე"-თი და რადგან ეს შემთხვევითი არ არის, არამედ ხე მეგრულად ნიშნავს შობას, ესეც იმის დასტურია, რომ მეგრელები და კოლხები (უფრო სწორად კულხები), ერთი და იგივე ტომია და დამწერლობა რომ მეგრულია იმის დასტურდაც რომ გამოდგება.

ჩემს მოსაზრებას მეგრელებისა და კოლხების ერთობობაზე ადასტურებს ისიც, რომ ამავე უფროსად "აიაში" ბატონ ჯუმაბერ კაკულისა სტატია "სინტორესია"-ში, საუბარია იმაზე, რომ მელხები და მეგრელები ერთი და იგივენი არიანო. გვარი მელხე იგივე - მელა.

ადრე ვფიქრობდი, რომ მეგრელებმა სახელწოდება დაიხსიან (დელხსაგან) მიიღეს, მაგრამ შემდგომ დაეფიქრა და სულ სხვა რამ გამოიფიქრა და ვფიქრობ, რომ ეს არის ერთადერთი სწორი.

ლახებმა და ჭანებმა სახელწოდება ადგილმდებარეობის ნიშანითვისიგან მიიღეს. ლახი, მეგრულად ნიშნავს უნაყოფოს. უნაყოფო მამაკაცი იტყვიან ჭანი-რე. ეს სიტყვები - ლახი, ჭანი, ამჟამად არ იხმარება, მაგრამ ბავშობისას უფროსებისგან გამოივლიან.

სამეცნიერო ლიტერატურაში წამიკითხავს, რომ სიტყვა კოლხი კუხისგან (მეგვეს ნიშნავს) უნდა იყოს წარმოშობილი. მაგრამ ეს არასწორია, რადგან მეგვე ნიშნავს მეცნიერული ტერმინია და იქამად მას არავინ ხმარობდა.

ცალკე ყურადღება მინდა გავამახვილო ასო გ-ზე. როგორც ვიცით დ არის დიხა (მიწა), მაგრამ ცნება დედამიწა დიხაში არ ეტყვა, ამიტომ გ-თი გამოხატა მისი სრული მნიშვნელობა. საბოლოოდ გ-ეა ანუ დედამიწა. ბერძნულადაც ხომ დედამიწას ვა ეწოდება. ეს კი ნამდვილად აქედან არის ნასესხები.

მაშ, მეგრელებმა საიდან მიიღეს სახელწოდება? არსებობს მოსაზრება გეორგიანე - მიწის მუშა, მეორე, მარგალი, იგივე დამრგველი. არც ერთი არ არის სწორი.

მარგალი წარმოშობილი არის ხმა გრრ-დან. ელ-ჭეკი, გურგინი ხომ გაკვივონია? რა იყო ბერძნების დეთაბებია შორის ყველაზე ძლიერი? ზეგსი, ელ-ჭეკის ღმერთი. ასეა აქაც. ოღონდ ამ დეთაბას ერქვა გიორგი. აქედან წმინდა გიორგი. ეს წმინდა გიორგი ხომ ყველაზე ძლიერ ღმერთად მიანდათ მეგრელებს და აქედან არის სახელწოდებაც გეორგია, ბერძნებმა რომ უწოდეს მეგრელებს, კოლხებს.

გრრ არის ფუფე, ამოსავალი საიდანაც არის შემდეგ ნაწარმოები გრ-ისი, გიორგი, მარგალი. წმინდა გიორგი, რომ წარმართული დეთაბებია ეს უძველესია. ერთი რამ მინდა აღნიშნო, ძალიან ცოცხას ის ხალხი, რომლებიც გვასწავლიან, რომ საქართველოს მართლმადიდებლობამ გადაარჩინაო. ე.ი. თითქოსდა ჩვენი ისტორია მართლმადიდებლობით იწყება!... კი მაგრამ, რა ვუყოთ იმ ხელთუქმნელ საუზუნს - ჩვენ მწერლობის, რომელიც წარმართებმა დაგვიტოვეს? ეს ისტორიის ვაგალებია.

ახლა ისევ მინდა მიუბრუნებ ძირითად თემას. აფხაზები რას ეძახიან მეგრელებს? "აგრუას" "აბუჟასაც". რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან? აგრუა ანუ (აგორი), იგივე გიორგი. აბუჟა, ეს იგივე რაც მისი შვილები. აი ამიტომ ეძახდნენ ევროპელები კოლხებს მიწისა და მისი შვილებს.

მამანტი ძაძაძის დასაბუთებული აქვს თუ რა ფუნქცია აქისრითა ხმოვან ბგერებს - ა, ე, ი, ო, უ-ს. მაგალითად, ის წერს: ა-თი უნქვენებთ ჩვენთან ახლოს მყოფ საგნებს, ე-თი ან ი-თი შორს მყოფ საგნებს და ა.შ. მაგრამ ა, ე, ი, სხვა რამეზეც მივითითებს, კერძოდ ა-ეს, ა-ვიგნია, სიტყვას ხან წინ ერთვის, ხან ბოლოს, ხან წინათ ერთვის და ბოლოსაც. მაგალითად გვარი ბიგვა, ამ გვარის ნამდვილი ფორმა (ბიგვანდელი) არის ბიგა. ე.ი. ბიგას, ხელჯოხს ამზადებდნენ და აქედან მიიღეს გვარის სახელწოდებაც. თავდაპირველად იქნებოდა ბიგა ა. ე. ი. ა ბიგა. შემდეგში სიტყვამ ტრანსფორმაცია განიცადა. ორ ბოლო ა-ს შორის ჩაჯდა - ვ და მივიღეთ ბიგვა. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სიტყვა "აგრუასთანაც". აბუჟა კი რას ნიშნავს ადვილი მისახვედრია. აბუჟა ე.ი. მისი შვილი.

გურამ კორკელია
სოფ. დარჩელი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას ბიორბი ონიანი: გული მომიკვდა, მაგრამ ცხოვრება ამით არ მთავრდება



10 აპრილს, ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე", თაბის მეოთხედიანელურ მატჩში ქუთაისის "ტორპედო" ბოლისის "სიონს" ხვდებოდა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბურთისთვის ბრძოლისას ქუთაისელთა მცველი გიორგი ონიანი მოედნის დამცავ ბადეს შეეჯახა. თამაშის გაგრძელებას ვინ ჩიოდა, გონწასული სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაქანეს და უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს - კისრის მე-4 და მე-5 მალეების მოტეხილობა. საბედნიეროდ, ონიანს ზურგის ტვინი არ დაუზიანდა, ოპერაცია წარმატებით დასრულდა და მალე ფეხზეც წამოდგა. ამიტომ, იმედი გვაქონდა, რომ 30 წლის მცველი ფეხბურთის კიდევ ითამაშებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა - გიორგი იმუღებულა, ბუცები ღურსმანზე ჩამოკიდოს. ეს დასანანი ამბავი თავად გვითხრა, როცა იმის შესატყობად დავეუკავშირდით, თუ როდის განაახლებდა ვარჯიშს... - დიდი ხანია, მკურნალობთ. მოედანს როდისდა დაუბრუნდებით? - ახლა ისევ რეაბილიტაციას გავდივარ და ვისვენებ. მაგრამ ფეხბურთის თამაშს ვერ შეუძლებ. გერმანიაში ოპერაცია რომ გავიკეთებ, ექიმებმა მითხრეს, თუ სიცოცხლე გინდა, მოედანზე გასვლას აღარ გირჩევიან. ახლა 2 კილოზე მეტის აწევა არ შეიძლება,

არც სირბილის უფლება მოუციათ. ისეთი თავდადებული მოთამაშეც არ ვარ, ფეხბურთი ჯანმრთელობაზე წინ დავაყენო. მოკლედ, კარიერა დავაშორე და თქვენ უკვე ვეტყვან ფეხბურთელს ელაპარაკებით. - გერმანიიდან ჩამოსვლამ ხომ თქვეთ, მალე ვარჯიშს დაგიწყებთ? - სულ სამი ოპერაცია გავიკეთე - ორჯერ კისრის მალეზე და ერთხელაც ცხვირზე. ფეხბურთს რომ ვეღარ ვითამაშებდი, ეს ამბავი ბოლო ოპერაციის შემდეგ მითხრეს. გული მომიკვდა, მაგრამ რას ვიზამთ... ცხოვრება ამით არ მთავრდება... - კარიერის ნაადრევად დასრულება სასიამოვნო ნამდვილად არ არის... - რა თქმა უნდა, გული უზომოდ მწყდება, კიდევ ხუთ-ექვს წელიწადს ვაპირებდი თამაშს... ძალიან ძნელია, საყვარელ საქმეს რომ მოწყდები. მიძიმე განცდებში ვარ, მიჭირდა ამ აზრთან შეგუება. მაგრამ ისეთი ტრავმა გადავტანე, რომ ემოციაც აღარ დამჩნა და ფეხბურთზე მეტად, ჯანმრთელობაზე ვფიქრობდი. ამის გამო, ფეხბურთიდან წასვლა არ მიჭირს. რას ვიზამთ, სხვა გზა არც მქონდა... ცხოვრებაც გრძელდება, ამით მხოლოდ ერთი ეტაპი დასრულდა. - ალბათ, უკვე დაფიქრებლით, სად გააგრძელებთ საქმიანობას... - ჯერ ზუსტად არ ვიცი. ვფიქრობ. ისე, მწვრთნელობა მსურს, ეს ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც შემომთავაზა. არ ვიცი, ამ კაცზე ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ისე მოულოდნელად დამხმარა, გაოცებული დავრჩი. მე არც მითხვია, პირადადაც არ ვიცნობდი... სხვათა შორის, "ლელოში" დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუს შემდეგ შემხვდა და თავად მკითხა ანგარიშის ნომერი და ოპერაციისთვის აუცილებელი 13 ათასი ევრო ჩამირიცხა. სიჭინავამ მაშინ მითხრა, ოპერაციის შემდეგ თუ ითამაშებ, ხომ კარგი, თუ არა და, სამწვრთნელო ლიცენზიის აღებაშიც დაგეხმარები და რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში

დაგასაქმებო. არც ვიცი, მადლობა როგორ გადაუხადო. ცხადია, "ტორპედო" დამხმარა, გერმანიაში გასამგზავრებელი ბილეთები და ვიზა ამიღო. მაგრამ ოპერაციის თანხა მჭირდებოდა, რადგან ამხელა სახსრები თავად არ მქონდა და არც ვიცოდი, ეს ფული საიდან მომეტანა. უოპერაციოდ კი ჯანმრთელობის პრობლემები შემქმნებოდა. ახლა ლიცენზიის აღებაზე ვფიქრობ. მხოლოდ ფეხბურთი ვიცი და აჯობებს, ისევ ამ საქმეს მივყვე. გავიგე, ვისაც პროფესიული კარიერა ჰქონდა, შეუძლია პირდაპირ ლიცენზია აიღოს. - რა იყო ფეხბურთში თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო მოგონება? უსიამოვნოზე აღარ გკითხავთ... - სასიამოვნო იყო ბურთთან პირველი შეხება და უმადლეს ლიგაში დებიუტი. ეს 2002 წელს მოხდა, თბილისის "ლოკომოტივში" ახალი ჩარიცხული ვიყავი, როცა გასვლაზე ზესტაფონის "მარგვეს" 50 მოუგეთ. მაშინ გუნდს ლუის ცაკარიასი ავარჯიშებდა, პირველ ტაიმში შეცვლაზე შემიშვა. ძალიან ენერჯიული ვიყავი. მაგრამ ეს იყო დიდი სიამოვნება, იმის მიუხედავად, რომ მოედანი ატალახებული იყო... - აუხდენელ ოცნებად რა დაგრჩათ? - საქართველოს ნაკრებში თამაში. ტოპილიერის დროს, სამჯერ განაცხადშიც მოხვდი, მათ შორის - გასვლაზე საფრანგეთთან და ასევე გასვლაზე ალბანეთთან, ამხანაგურ მატჩში. მაგრამ ერთხელაც არ მითამაშია. - რა იყო თქვენი ყველაზე სერიოზული შეცდომა? - ალბათ, გერმანიიდან წამოსვლა. დარჩენის შანსი მქონდა, კონკრეტულად წინადადებაც იყო, მაგრამ საქართველოში დაბრუნება და რუსეთის "მეტალურგში" თამაში ვამჯობინე, რომელიც მაშინ ჩემპიონობისთვის იბრძოდა. გერმანიაში ჩემი კარიერაც სხვაგვარად წარმართებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, წამოსვლა კარგიც იყო, ნაკრებში ხომ ამის შემდეგ მიმიწვიეს. სიზარმაცე არ

მახასიათებდა, განსაკუთრებული შეცდომაც არ დამიშვია. მაგრამ ამ გადასახედთან, მეტის გაკეთება შემეძლო. საერთოდ, ცხოვრების კანონია - მეტი უნდა გასცე, მეტი რომ მიიღო... - თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთი მოთამაშეებს რას აძლევს და რას - ვერა? - საქართველოში თამაში რთულია, მაგრამ ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ცხოვრების პირობები გაიუმჯობესო, უკეთესი მომავლის იმედი გქონდეს და ხალხმა ტაში დაგიკრას. ხალხის აღიარება და ოცადიები ყველაზე დიდი სიამოვნებაა. გერმანიაში, "კარლ ცაისში" ერთი სეზონი ვითამაშე და ვიცი, საკვებ სტადიონი რამხელა სიამოვნებაა. გერმანიაში საოცარი გულშემატკივარია, გავარდნილ გუნდსაც ქომაგობენ. ასეთი თანადგომა მენატრებოდა საქართველოში, საკვებ ტრიბუნების გარეშე თამაში საშინელებაა. ასე იყო "ხესტაფონში", კარგი ქომაგები ჰყავთ "ტორპედოს" და "დილას", მაგრამ ზოგადი სურათი მაინც დამთრგუნველია. ამიტომ, მოტივაციაც ნაკლებია, კონცენტრირებასაც ვერ აკეთებ და დიდი პროფესიონალიზმი გჭირდება, ბოლომდე რომ დაიხარჯო. ასეთ გარემოში თამაში ვარჯიშებს ჰგავს და ფეხბურთელი ვერ გაიზრდება. მოედანი მოედანს არ ჰგავს და სტადიონი - სტადიონს. ბევრჯერ ისეთ მოედანზე მითამაშია, ერთი საზრუნავი მქონდა - გასახდელამდე ჯანმრთელი მივსულიყავი. ეს თუ მოგვარდა, სანახაობრივადაც და ღონითაც ბევრად უკეთესი ჩემპიონატი გვექნება. ის მაინც გეცოდინება, რომ სტადიონზე არ მოკვდები, რაც მე მომივიდა. ნეტავ, შემდგომმა თაობებმა მაინც იგრძნონ საქართველოში ისეთი ემოცია, რაც მე გერმანიაში განვიცადე. თუ ამას არ მიხვდა, უკან უკან მივიდვარ და საშველიც არ ჩანს. არადა, კარგი თაობები მოდიან და არ მინდა, ჩვენი თაობის ბედი გაიზიარონ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსეთის ფედერაციის ქ.ნ.68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624 თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.ნ.6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322

რატომ ებონათ თბილისში ჩამოსული რობერტ დე ნირო სომეხი არტაშა

ცნობილი ამერიკელი მსახიობი, "ოსკარისა" და სხვა ავტორიტეტული კინომონიაციების მრავალგზის მფლობელი, იტალიური წარმოშობის რობერტ დე ნირო 1986 წელს თბილისს ეწვია როგორც ტურისტი. მას შესაბამისი შეხვედრები მოუწვეს ქართულ ლიტერატურულ და კინოწიგნებში. ისიც ცნობილია, რომ იტალიელებს სამხრეთული გარეგნობა აქვთ და ხშირად ჭირს ხოლმე მათი ქართველისაგან გარჩევა. რობერტ დე ნიროს თან ახლდნენ ქალიშვილი ბოიფრენდითურთ და ვაჟი. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი დაკავებული იყო საქმიანი შეხვედრებით, იგი მაინც პოულობდა თავისუფალ დროს, რათა ქალაქის ღირსესანიშნოებს გაეცნობოდა. სამშობლოში

დაბრუნების შემდეგ კი რობერტ დე ნირო აღტაცებული წერდა წარუშლელ თბილისურ შთაბეჭდილებებზე. უკემრიელეს ქართულ სამზარეულოზე, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებზე. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელ, განსაკუთრებით ამერიკელ სტუმრებს თან დაჰყვებოდა ჩვენი უშიშროების "ფხიზელი თვალი", დე ნირო მაინც ასერხებდა მარტო გასულიყო ქალაქში და დამტკბარიყო თბილისის ხედებით. ერთ დილას გასასეირნებლად სასტუმრო "მეტეხიდან" ავლაბარში დაემგზავნა, მარტო. მერე მახლობელ პარკში სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და თვალი მიადევნა საქმეზე მიმავალ ავლაბრელებს. ევონა, გარს შემომეხვევიან, ტაშს დამიკრავენო, მა-

გრამ, თურმე, ზედაც არავინ შეხედა. ნაწვენმა თანმხლებს და მეგზურად მიმავრებულ მწერალ რეზო თაბუკაშვილს შესწავლა, - რა საწყენია, რომ ქართველები ვერ მცნობენო. რეზო თაბუკაშვილს თურმე ჩაედინა, - შე კაცო, ავლაბარში რომ გამოიჭიმე, ვინ გიცნობდა, ყველას სომეხი არტაშა ვგონებოდიო.



სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"-ს ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ რუსეთის ქალაქ სუზდალში ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა სოსუმეიდან დევნილი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი **ვალერი ქობალია** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უკვე გამოვიდა შურნალ „აია“-ს მომდევნო ნომერი, რომლის მთავარი რადაქტორია ბატონი ბიორბი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1. ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს წარმომადგენლობაში. შურნალის ფასია 4 ლარი

ბერია XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

ISSN 1987-8966 ilori
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №8, სარ.ბ. №01018002930
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge